თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 7

25 აპრილი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილი თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — გიგა ორკოდაშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ნანა ხვისტანი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე — ალექსანდრე კუპატაძე;

საკრებულოს ფრაქციის

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	**ბესიკი ქოჩიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**
საკრებულოს ფრაქციის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე	**ბაადური რევაზიშვილი**
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე	**ზურაბ ნაცარაშვილი**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარის მოადგილე	**მიხეილ გრემელაშვილი**

საკრებულოს წევრები: ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი,** ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე,** ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ზაქაიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ნინო ტაბიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები - **გიორგი ფარადაშვილი, ნიკა სახიაშვილი;**
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი.**

ორგანიზაცია CENN პროგრამა ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში WMTRII
წარმომადგენელი – **არჩილ ლეჟავა , კახა სუხიტაშვილი.**
მოქალაქე **მაკა მოსიაშვილი,** სამოქალაქო მოძრაობის წევრი **არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგს უნდა დაემატოს საკითხები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის მივლინების და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დავით გოგოშვილის შვებულების ცნობად მიღების შესასახებ და საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.00სთ-დან - 13.20 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.20სთ-დან - 13.40 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
13.50სთ-დან - 14.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
14.00სთ-დან - 14.10სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
14.10სთ-დან - 14.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის 8 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე
14.20სთ-დან - 14.30სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს. ხვისტანი
14.30სთ-დან - 14.40სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის მივლინების ცნობად მიღების შესახებ.

14.40 სთ-დან- 14.45სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

11. სხვადასხვა

14.50 სთ-დან

ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.00სთ-დან - 13.20 სთ-მდე

ნ.ვაყელიშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე და ამომწურავად უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** დასვა კითხვები მუნიციპალური განვითარების ფონდთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24-მა (ოცდაოთხი) წევრმა, **წინააღმდეგი** : 1-ი (ერთი) წევრი: **ლ.კოჭლოშვილი, მონაწილეობა არ მიიღო** 1-მა (ერთი) წევრმა **ი.პარწიკანაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.20სთ-დან - 13.40 სთ-მდე

თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა **ნ.ვაყელიშვილმა** და უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

ი.პარწიკანაშვილმა დასვა კითხვა გასული წლის ბიუჯეტისნაშთთან დაკავშირებით, რაზეც **მომხსენებელმა** გააკეთა განმარტება, რომ ნაშთი გამოწვეულია არ შემდგარი/ჩაშლილი ტენდერების და ჭარბი შემოსულობების ხარჯზე.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20-მა (ოცი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ი.პარწიკანაშვილმა, წინააღმდეგი:** 02 (ორი) წევრი - **ა.კუპატაძე, ბ.რევაზიშვილი, ზ.ნაცარაშვილი, ზ.გრიშიკაშვილი,** კენჭისყრას არ ესწრებოდა **ლ.კოჭლოშვილი.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
13.40სთ-დან - 13.50სთ-მდე

დადგენილებაში შესატანი ცვლილებების შესახებ ისაუბრა **გ.ენუქიძემ.**

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ სასურველია საკრებულოს წევრებისათვის ცნობილი იქნეს იმ ბენეფიციართა ვინაობა, ვინც ამანათების მიღებით ისარგებლებს.

ბ.ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ ბენეფიციარებს უჭირთ უმწეოთა თავშესაფრის შენობამდე მისვლა, აღნიშნულთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარეობს მუშაობა იმ საკითხზე, რომ ბენეფიციარები შინ მიტანის სერვისით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

13.50სთ-დან - 14.00სთ-მდე

პროექტთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა **გ.თავბერიძემ.**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

14.00სთ-დან - 14.10სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

14.10სთ-დან - 14.20სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის 8 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.დ.ზაქაიძე

14.20სთ-დან - 14.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიამ შეისწავლა საკითხი და გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რის გამოც კომისიას მიზანშწონილად მიაჩნია, რომ საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან.

დაადგინეს: **მოიხსნას დღის წესრიგიდან** წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

14.30სთ-დან - 14.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

9.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის მივლინების ცნობად მიღების შესახებ.

დაადგინეს: **ცნობად იქნეს მიღებული** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიგა ორკოდაშვილის მივლინების შესახებ.

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დავით გოგოშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

დაადგინეს: **ცნობად იქნეს მიღებული** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დავით გოგოშვილის შვებულების შესახებ.

11.მოისმინეს: სხვადასხვა

1. ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენელმა **არჩილ ლეჟავამ** ზოგადად ისაუბრა თავისი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პროექტების შესახებ, რომელიც ეხებოდა 9 სტიქიური ნაგავსაყრელის დახურვას, ეკოჰაბის მოწყობას, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას. მან ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული იქნა ნარჩენების მოსაკრებლის დაანგარიშების პროექტი, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა და ისევ ძველი ფორმით ხდება დასუფთავების ამოღება. თუმცა შესაძლოა კანონში შევიდეს ცვლილება და დასუფთავების დაანგარიშება განისაზღვროს მათი შემუშავებული პროექტის მიხედვით.
   მან სურვილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კარგი იქნება თუ საკრებულოს წევრებიც გაუწევენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლობირებას.

   საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა არჩილ ლეჟავას, რომ მოხდეს მიმართვა წერილობითი სახით თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელზე.

   ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა სოციალურად დაუცველებთან მიმართებაში დასუფთავების ტარიფების შესახებ, რაზეც მომხსენებელმა გააკეთა განმარტება, რომ სოციალურად დაუცველები სრულად იქნებიან სუბსიდირებულები.

2. **ა.მჭედლიშვილმა** სტუდენტების სახელით მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, ახალგაზრდების პროექტის განხორციელებისათვის და

ქუჩის პრობლემებთან და ასევე საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშების წარდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ა.თხლაშიძემ განუმარტა ა.მჭედლიშვილს, რომ ქუთაისის ქუჩის პრობლემებთან დაკავშირებით დაწყებულია რეაგირება, ხოლო რაც შეეხება საკრებულოს წევრების ანგარიშებს მათი წარდგენა უნდა მოხდეს 1 ნოემბრამდე.

3. **ლ.კოჭლოშვილმა** ისაუბრა ბაგა-ბაღებში ბავშვების მოწამვლის ფაქტორზე, სოფელ ართანის სახელწოდების აღმნიშვნელ ბანერთან და საკრებულოს წინაშე მერის ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.

4. **ი.პარწიკანაშვილმა** აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება თუ მერიის სამსახურის უფროსები და ა.ა.ი.პ.-ის ხელმძღვანელები კვარტალში ერთხელ ანგარიშებს წარუდგენენ საკრებულოს. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ აკურაში ურნების მიმდებარედ არის ანტისანიტარია და სურვილი გამოთქვა, რომ გამოიყოს ერთი ადამიანი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პრობლემის მოგვარებას.
მან ასევე იასუბრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე